ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს ფასეულობების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო ფასეულობების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის.

აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვემდებარება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება				
ბალანსი 01.01.2019	3,263	6,716	292	10,271
შეძენა	78	239	28	346
ჩამოწერა	-	-	(11)	(11)
ბალანსი 31.12.2019	3,341	6,955	309	10,606
შეძენა	20	1,066	28	1,114
ჩამოწერა	-	(28)	(33)	(61)
ბალანსი 31.12.2020	3,361	7,993	304	11,658
ცვეთა				
ბალანსი 01.01.2019	183	1,702	159	2,044
ცვეთა	69	436	34	539
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	252	2,138	193	2,583
ცვეთა	72	445	28	545
ჩამოწერა	-	(26)	(27)	(54)
ბალანსი 31.12.2020	324	2,556	194	3,074
ნარჩენი ღირებულება				
ბალანსი 01.01.2019	3,080	5,014	133	8,227
ბალანსი 31.12.2019	3,089	4,818	116	8,022
ბალანსი 31.12.2020	3,037	5,437	110	8,585

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მასალები	7,234	6,529
მზა პროდუქცია	2,607	1,494
წარმოება	15	75
სხვა მასალები	158	62
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10,015	8,160

მასალების ძირითადი ნაწილი შეძენილია იმპორტით. ყველაზე მსხვილი იმპორტიორები არიან Prosel Metal Tic. Ltd, Sti და Hydro Yapi Sistem Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi. მასალების იმპორტი ხორციელდება თურქეთიდან.

6. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 1,499 ათას ლარს. ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 118 ათას ლარს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო მოთხოვნები	3,464	3,138
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(1,720)	(1,162)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	1,744	1,975
გადახდილი ავანსები	1,950	742
წინასწარ გადახდილი მომსახურება	27	13
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,722	2,731

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31.12.2020	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	400	123	157	1,293	208	1,282	3,464
რეზერვის პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	2	8	323	104	1,282	1,720

31.12.2019	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	1,389	117	90	164	528	851	3,138
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	2	4	41	264	851	1,162

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,441	1,740
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	389	183
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1	1
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,831	1,924

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. სესხები

მოკლევადიანი სესხი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
დარიცხული პროცენტი ლარში	5	5
სულ გრძელვადიანი სესხი	5	5
გრძელვადიანი სესხი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სესხის ძირი თანხა ლარში	3,104	3,498
სულ გრძელვადიანი სესხი	3,104	3,498

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ დეტალური ინფორმაცია სესხის შესახებ:

სესხის გამცემი	სესხის მიღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი ვალუტაში 31/12/2020	სესხის ძირი ეროვნულ ვალუტაში 31/12/2020
სს "პროგრედიტ ბანკი"	14/01/2018	25/12/2023	1,469	აშშ	7-10%	947	3,104

სესხის გამცემი	სესხის მიღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი ვალუტაში 31/12/2019	სესხის ძირი ეროვნულ ვალუტაში 31/12/2019
სს "პროგრედიტ ბანკი"	14/01/2018	25/12/2023	1,469	აშშ	7-10%	1,220	3,498

სესხი უზრუნველყოფილია საკუთრებაში არსებული ქონებით

10. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11,039	4,787
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	11,039	4,787

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლისგან მიღებული ავანსების თანხებს. ზოგიერთი მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადაინშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

შპს „ლე გრუპი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში იხილეთ დეტალური ინფორმაცია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მიღებული ავანსები უცხოურ ვალუტაში	11,011	4,632
მიღებული ავანსები ეროვნულ ვალუტაში	28	155
სულ	11,039	4,787

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
იურიდიული პირები	10,170	4,612
ფიზიკური პირები	869	175
სულ	11,039	4,787

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო ვალდებულებები	165	1,284
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	165	1,284

სავაჭრო ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	64	1,259
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	30	2
კომუნალურებთან დაკავშირებული ვალდებულებები	24	21
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	13	-
საკონსულტაციო და სხვა ვალდებულებები	33	-
სხვა სავაჭრო ვალდებულება	2	2
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	165	1,284

12. შემოსავალი

	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	132	363
შემოსავალი დამსხრეული მინის რეალიზაციიდან	324	12
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	13,241	14,279
შემოსავალი მომსახურეობიდან	167	265
საიჯარო შემოსავალი	14	14
სულ შემოსავალი	13,878	14,933

შპს „ლე გრუპი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ მზა პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია:

	2020 წ.	2019 წ.
იურიდიული პირები	12,256	13,183
ფიზიკური პირები	985	1,096
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	13,241	14,279

	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი უცხოურ ვალუტაში	10,058	11,418
შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში	3,183	2,861
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	13,241	14,279

შემოსავლების უდიდესი ნაწილი გენერირდება ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან.

13. თვითღირებულება

	2020 წ.	2019 წ.
მზა პროდუქცია	6,461	6,826
პერსონალის ხარჯი	2,722	2,670
ცვეთა და ამორტიზაცია	514	512
მასალები	458	662
მომსახურება	234	206
კომუნალური	152	167
ტრანსპორტირება	73	82
საწვავი	54	34
სხვა ხარჯი	35	33
სულ თვითღირებულება	10,703	11,194

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020 წ.	2019 წ.
სახელფასო ხარჯი	700	596
საგადასახადო ხარჯი	78	75
სხვა ხარჯი	9	9
კომუნალური ხარჯები	35	33
დაზღვევის ხარჯი	2	2
საკონსულტაციო ხარჯი	40	57
ცვეთის ხარჯი	39	38
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	902	809

15. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯს. 2020 წლის უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი შეადგენს 592 ათას ლარს. ხოლო, 2019 წლის მდგომარეობით 265 ათას ლარს.

16. ფინანსური ხარჯები

	2020 წ.	2019 წ.
ბანკის საკომისიო	76	58
საპროცენტო ხარჯი	258	293
სხვა ფინანსური ხარჯი	-	79
ჯარიმები და საურავები	31	21
სულ ფინანსური ხარჯი	364	451

საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულია სს "პროგრედიტ ბანკისგან" მიღებულ სესხსა და საკრედიტო ხაზთან. კომპანიამ 2018 წლის 14 იანვარს მიიღო სესხი 1,469 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7-10% - მდე. სესხის დასრულების ვადა არის 2023 წლის 25 დეკემბერი. 2020 წელს აღნიშნულ სესხზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 250 ათასი ლარი, ხოლო საკრედიტო ხაზით სარგებლობასთან დაკავშირებულმა საპროცენტო ხარჯმა - 8 ათასი ლარი.

17. არასაოპერაციო შემოსავლები

2020 წლის მდგომარეობით არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 111 ათასი ლარი, საიდანაც ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია საშემოსავლო შეღავათებთან. 2020 წელს კომპანიას საშემოსავლო შეღავათები აღრიცხული აქვს 62 ათასი ლარით. გარდა ამისა, არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს საექვო და უიმედო მოთხოვნების ანარიცხების შემცირებით მიღებულ შემოსავალს, რომელმაც შეადგინა 32 ათასი ლარი.

2019 წლის მდგომარეობით არასაოპერაციო შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება ჩამოწერილი საექვო ვალებისგან. სულ არასაოპერაციო შემოსავალი 2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 659 ათას ლარს.

18. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

2020 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი შეადგენს 1,018 ათას ლარს. ხოლო, მოგება საკურსო სხვაობიდან შეადგენს 698 ათას ლარს. 2020 წლის მდგომარეობით წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან შეადგენს 320 ათას ლარს.

2019 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი შეადგენს 255 ათას ლარს. 2019 წლის მდგომარეობით წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან შეადგენს 255 ათას ლარს.

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

2020 წლის ივლისში შპს ლგ გრუპმა სასამართლო დავა წამოიწყო შპს მაგთისთან. დავის მიზეზი იყო ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ნაკისრი ვალდებულების გადაუხდელობა. შპს ლგ გრუპმა შპს მაგთის დამატებით შეუსრულა სამუშაოები, რომელმაც შეადგინა 196 ათასი აშშ დოლარი.

შპს ლგ გრუპმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი შპს მაგთის წინააღმდეგ და მოითხოვა შესრულებული დამატებითი სამუშაოების ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა შპს ლგ გრუპის მოთხოვნა და მის სასარგებლოდ, შპს მაგთის გადასახდელოდ დააკისრა 196 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად. შპს მაგთიმ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2020 წ.	2019 წ.
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	156	167

2020 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლებზე გაცემულია დივიდენდი 1,147 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო 2019 წლის განმავლობაში 831 ათასი ლარის ოდენობით.

21. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მიმდინარე წლის მოგება და გაუნაწილებელი მოგება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 თებერვალს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2021 წელს კომპანიამ დაფარა სს "პროკრედიტ ბანკი"-ს გრძელვადიანი სესხის ძირი 941 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, 2021 წელს კომპანიამ სს "პროკრედიტ ბანკი"-ში არსებული საკრედიტო ხაზის მიხედვით აითვისა სესხი 3,515 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა მოხდა ამ ათვისებული საკრედიტო ხაზის თანხიდან 3,500 ათასი ლარის დაფარვა.

კომპანიამ 2021 წელს გასცა დამფუძნებლებზე დივიდენდი 571 ათასი ლარის ოდენობით.

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ლგ გრუპი საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთერთი დიდი კომპანიაა.

შპს ლგ გრუპი დაარსდა 1996 წლის 20 სექტემბერს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

შპს ლგ გრუპის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში, რამაც დახვეწა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. 2020 წელს მოხდა ახალი ალუმინის საჭრელი დანადგარის შეძენა და მონტაჟი, რომლის იმპორტი განხორციელდა გერმანიიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს ლგ გრუპი წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორებიცაა შპს ანაგი, შპს ალიანსი ფრივილიჯი, შპს ელიტა ბურჯი, შპს ალიანსი, შპს ლისი დეველოპმენტი, შპს აქსის კონსტრაქშენი, შპს ჭავჭავაძე 49 და სხვა.

შპს ლგ გრუპს გააჩნია საქართველოში წარმატებულად ფუნქციონირების თითქმის 25 წლის ისტორია.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. იგი შემინვისათვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის მწარმოებელი კომპანიის GUARDIAN GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის კი - ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

შპს ლგ გრუპს აქვს სამი ქარხანა ქ. თბილისში. მინის დამუშავება ხდება სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრა და პროფილების აწყობა ვანის და ანდრონიკაშვილის ქუჩაზე, ხოლო ქვის დამუშავება კი ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ქარხანებში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერთიფიკატი ISO 9001:2015.

ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8,585	8,023
არამატერიალური აქტივები	1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,585	8,025
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10,015	8,160
საგადასახადო აქტივები	1,499	118
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,722	2,731
ფული და ფულადი საშუალებები	1,831	1,924
სულ მოკლევადიანი აქტივები	17,066	12,933
სულ აქტივები	25,652	20,958
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	11,332	11,370
სულ კაპიტალი	11,334	11,372
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	3,104	3,498
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,104	3,498
მიმდინარე ვალდებულებები		
მიმდინარე სესხები	5	5
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11,039	4,787
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	165	1,284
საგადასახადი ვალდებულებები	5	12
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	11,214	6,088
სულ ვალდებულებები	14,318	9,586
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	25,652	20,958

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი	13,878	14,933
თვითღირებულება	(10,703)	(11,194)
საერთო მოგება	3,175	3,739
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(902)	(810)
საოპერაციო მოგება	2,273	2,929
საოპერაციო ხარჯები	(592)	(265)
ფინანსური ხარჯები	(364)	(451)
არასაოპერაციო შემოსავლები	111	659
მოგება/ზარალი საკუთრივ სხვაობიდან	(320)	(255)
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე	1,108	2,617
მოგების გადასახადი	(79)	(62)
წლის წმინდა (მოგება)/ზარალი	1,028	2,555

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია ქვის დამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მომავალისთვის ვფიქრობთ ადგილზე მოვიპოვოთ და მაღალ დონეზე დავამუშავოთ ტუფის ქვა, რათა იგი აქტიურად გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. მომსახურების გასაწევად გამოიყენება თბილისში არსებული ქარხნები და შესაბამისი საწყობები.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2019-2020 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „ფინანსური მაჩვენებლები“.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 100 %-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2019-2020 წლებში შესაბამისად შეადგენდა 140 და 139 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 13 ქალია.

შპს ლგ გრუპის სამარკო ნიშანია 25 წლის მანძილზე მისი ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, მომსახურების მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

5. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

მომსახურების მიწოდებისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საექვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

პროდუქციის რისკი

რისკები ძალზე იშვიათად დაკავშირებულია მომსახურების მიწოდების ვადებთან. შეძენილი ნედლეულისა და მასალების დაძველება როგორც წესი არ ხდება და შესაბამისად, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები უმნიშვნელო და არარსებელია.

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვერველასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.

სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

Covid-19

COVID-19-თან დაკავშირებული პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება. კომპანიამ ეფექტურად განახორციელა კორონავირუსის ინფექციის სწრაფი გავრცელების მართვა. მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, კომპანიას არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა.

ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და მართავს საკუთარ ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

25 თებერვალი 2022

დირექტორი

მ. როსტიაშვილი

ფინანსური დეპ. უფროსი

ა. ალიმბარაშვილი

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვერველასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.

სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

Covid-19

COVID-19-თან დაკავშირებული პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება. კომპანიამ ეფექტურად განახორციელა კორონავირუსის ინფექციის სწრაფი გავრცელების მართვა. მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, კომპანიას არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა.

ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და მართავს საკუთარ ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

25 თებერვალი 2022

დირექტორი

მ. როსტიაშვილი

ფინანსური დეპარტამენტი

ა. ალიმბარაშვილი

